

* ვახ. აბ. მიმ. სიტყვით, აბ-კრობილეთა მთავარმა გამგეობამ მოიწონა პროექტი სოხუმის საბჭო-ბილესთან საავადმყოფოს დაარსების შესახებ.

* ვახ. აბ. მიმ. სიტყვით, მღვდ. ნიქარაძემ (ფრედონიმი „თავისუფალი სენი“) უკვე დაასრულა ქართულ სენიურ რუსულ ლექსიკონის შედგენა. ავტორი შუამდგომლობს, რომ ეს ლექსიკონი მეცნიერებათა აკადემიამ დაბეჭდოს.

* ვახ. აბ. მიმ. დ. ცხინვალიდან სწერენ, რომ ჩვენი ვენახები გადაურჩნენ ზამთრის სიცხეებსა და ყინვებს, ამიტომ წელს კარგის მოსავლის იმედი გვაქვს. ვენახები ძალიან წახდა ზემო და ქვემო ხეობაში, ზემო და ქვემო ნიქოზა, ფხენისა, შინდისა, კელქეულსა, საქაშეთსა, სასირეთსა, ბრეთსა, რუისსა და ურბნისში.

* გორიდან სწერენ ვახ. „ტფ. ფურც.“-ს, რომ ქალაქის საბჭოში არა ერთხელ და ორჯერ აღძრეს ლაპარაკი გორის უფარვის ქუჩების შეკეთების შესახებ. ფულიც კარგა ხანია ამ საქმისათვის გადადებული იქმნა, მაგრამ მასახალისის სისრულეში არ მოჰყავს წარმომადგენელთა გარდაწყვეტილება. ღამე ქუჩებში გავლა ყოველად შეუძლებელია. ამას წინადა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ღამე ერთ-ერთის ქუჩის ორ-მოში ჩავარდა და ფეხიც კი მოიტეხა.

* ვახ. „კავკასის“ სიტყვით მელოკიკოსის მღაზისის საქონელი, რომელსაც ამას წინადა ცეცხლი წაეკიდა, დაზღვეული ყოფილა „როს-სიას“ საზოგადოებაში 30 ათას მანეთად.

* სოფ. ყუბაღვართში, (კავკასის მხარე) ამას წინადა სოფ. ყაყაღვართში ერთი საცოდნო მოხდა: ძნის ზიდის დროს ორს მომიჯნავე ოსს ჩხუბი მოუვიდა; ერთმა მეორეს რკინის ორითი დასთხლია თავში და თავი გაუტეხა; თავ-გატეხილმა იმავე საღამოს განუტევა სული.

ჩემს მეგობართან, ექიმ ზეიდორფთან?

ვიდრე უპასუხებდა, შევლაპარაკე ინდოელს, რომელიც თავის გულ-წასულს მფარველს დასტორილებდა, ისეთის ენით, რომ ვალიგერმა ვერა გაიგო. შემდეგ დააშოშმინა, მიობრუნა თავისი ლამაზი, გაფთვებული სახე გალიგერი-საკენ და უპასუხა:

— გამალობთ, იმედი მაქვს მკურნალის დაუხმარებლადაც იოლად წავიდეთ. ასეთი ძარღვების სისუსტე პირველი არ არის მამინძისთვის და შეეწყვიტეთ კიდევაც ვიცით, როგორც უნდა მოვუაროთ.

გალიგერმა დახვდა ავადმყოფის გაფთვებულს სახეს, და, თუცა უარი მიიღო, მაინც დაუმატა:

— მაგას არა ვეჭვობ და არც შეგაწუხებდით, მაგრამ ასე გადაფთვრება...

— სისუსტეს ხშირად ისეთი შედეგი მოსდევს, რომ ავადმყოფისთვის უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე რომელსამე წამალს, ასე მითხრა, როგორც მახსოვს, გამოჩენილმა მკურნალმა, რომელიც პირველად მო-

* ამას წინადა ვწერდით, რომ 13 სექტემბერს პოლიციამ ნათელულში იპოვნა ხურჯინი, რომელშიაც ვიღაც კაცის მოკრილი თავი იდო. პოლიციამ ესეა გამოარკვია ამ კაცის ვინაობა. იგი ბერძენი ყოფილა, ბორჩალოს მხარის მცხოვრებელი სერგეი სტეფანეს ძე კარაკლოვი. კარაკლოვი ტფილისში სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩამოსულა საქონლის სასყიდლად, თან 70 მანეთი ჰქონია. პოლიციამ ჯერ ვერ გაიგო ბინად სად იყო ჩამოსხდარი.

* როგორც ვუწვიეთ, ამას წინადა მოკლავთა მოურავის და დეპუტატების არჩევნები მოხდა. ვახ. აბ. მიმ. სწერს, რომ ბევრი უმეყოფილონი არიან ამ არჩევნებით და საჩივარი შეაკეთ, რომ ახალი არჩევნები მოხდეს. მომიჯნავენი თავისი საჩივრის დასასაბუთებლად შემდეგ სახელგანთქკის, მოურავის არჩევის დროს იმათ, ვისაც ამ თანამდებობაზედ ყუთები დაუდგეს. სხვა-დასხვა რიცხვი კენჭებისა ამოუვიდათ; 2 კენჭებს კრების თავმჯდომარე ვლადიმეროვი არ არიგებდა, არამედ საგუბერნიო აღმინისტრაციის წარმომადგენელი და ასისტენტები. 3, ესენი ამომრჩეველებს თითო კენჭის ნაცვლად ორს, ხანდისხან ზუთსაც აძლევდნენ.

* რედაქციამ მიიღო მე-IX ნომერი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა“. ჟურნალი შემდეგი შინაარსისაა: 1. ორი პასუხი, — ლექსი დუტუ მგერელისა, 2. გუგული — ამბავი თ. რახიკაშვილისა, 3. ბავშვის ქვეყანა (თარგ.) კ. ვაბაშვილისა, 4. მოწყვნილი ჩიტი, — ლექსი შ. მღვიმელისა, „კაპლიის“ შურისძიება (თარგ.) ა. წ—სა, 6. ვახტანგ მეფე და ორი გოლიათი, — ისტორიული ამბავი გ. წყალტუბელისა, 7. პირუტყვათა ტყუა-გონება (თარგ.) თეოდ. კანდელაკისა, 8. ფიზიოლოგიური წერილები — ივ. გომარათელისა, 9. უგუნური ბუბუიკ გრძნობენ ჩემს უსამართლობას! — პლაგიატი, 10. საკვირველებანი ბუნებისა — ლ. აღნიაშვილისა, 11. სამეცნიერო გასართობი, — ბორასი, 12. ურჩი მიუშვი ნებასა, — თეოდ. კანდელაკისა, 13. მეცხვარე და მეელი — ივაგი ალ. მირანაშვილისა, 14. ყვევი და ბუბუბული, ჩეხური ივაგი, 15. წერილიანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, სახუმარო, შარადა, რებუსი და სხვა.

* 19 სექტემბერს, ვერის ბაღებთან უტყრად გარდაცვალა ტფილისის მხარის სოფ. დიდის მცხოვრებელი მიხეილ თოფჩიშვილი. გარდაცვლელის გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

* გუშინ, 22 სექტემბერს, ეპატორინე ფხაკაძემ პოლიციას გამოუხცადა, რომ 21 სექტემბერს „ლაზარატორიის სლაბოტაში“ ცხოვრებაში ვიღაცის სახლიდან, № 67, ორი ძროხა დაეკარგა.

ვიწვიე და, ვგონებ, მართალიცა სიტყვა. უგრძობლად ყოფნა რამდენსამე საათს გასტანს ხოლმე. შემდეგ როცა გამოერკვევა ამ ავადმყოფობისაგან მამაჩემი, კარგად არც და არას იტკივებს. ამიტომაც მისდა მოსაბრუნებლად არავითარს საშუალებას არა ვხმარობთ.

— მაშ არაფერში გამოგადგებით? ყმაწვილმა ქალმა მოწყვნით გაუქნია თავი.

— სამწუხაროდ, არა. რაც-კი საჭიროა, ყველაფერს ჩვენ თითონ ვაკეთებთ. ჩვენი ერთგული დალინი ყველაზედ კარგად უვლის ავადმყოფს, საკმარია ზარის ჩამოკვრა, რომ ქ-ნი ტომპსონი წამოგვეხმაროს. თუ ნებას მომცემთ, ერთს რასმე დაგვაღებთ...

— რა იქნება ისეთი, რომ მისი შემოკვეთა არ შეგეძლოთ. მე მოვალე ვარ...

— მადლობასათვის-კიარა, რადგან არაფრითა ხართ დავლებული, უბედურ კაცის შებრალებსთვის, რომლის სიცოცხლაც საგნა გულის ტკივილითა და სიყვარულით მოყვანის მიმართ. პირობა მომეცით, რომ

* დღეთა მეორე გინაზის მოსწავლე თამარა შმიდტი, რომლის შესახებაც გაზეთები იწყებდნენ, დაიკარგა, ნათესავებთან აღმოჩნდა.

შეტდომის გასწორება. „ივერიის“ მე-203 ნომრის „წერილი რედაქციის მიმართ“ ში შეტდომით გვეყონდა დაბეჭდილია „შეტდომას ვუცხადებ ჩემს 15 ამახანაგის მინდობილებითა“. უნდა იყოს „მადლობას ვუცხადებ ჩემს 75 ამახანაგის მინდობილებით“...

ქალაქის საბჭო
21 სექტემბერი

კრების დაწყებისათვის ქალაქის მოურავმა საბჭოს მოახსენა, თუ როგორ მოწყვალდ იქნა იგი მიღებული მისის იმპერატორების უმაღლესობის, დიდის მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის მიერ. შემდეგ ილაპარაკა, რომ საბჭოს მონდაბილებისამებრ მოსკოვში დავესწარი იმპერატორის აღქმანდრე მეორის ძეგლის კურთხევისათვის პეტერბურგში წავედი მოსკოვიდან ქალაქის საქმეების შესახებ. იქაო, სიტყვა მოურავმა, მთავრობის ყველა დაწესებულებაში დიდის ყურადღებითა და თანაგრძნობით ეკიდებიან ჩვენის ქალაქის შეამდგომლობასაო. მოურავი შეჰპირდა საბჭოს, რომ ამ ორის უკანასკნელის საგნის შესახებ, რისთვისაც მე ვიყავი გაგზავნილი, ვრცელს ანგარიშს წარმოვადგენო.

შემდეგ ქალაქის მდივანმა საბჭოს წარსულის კრების ანგარიში წაიკითხა.

ქალაქის მოურავი. უნდა განვიხილოთ ცხენის რკინის გზის საქმე. ეხლანდელის მოხსენების ერთი ნაწილი თქვენ უკვე იცით, ეხლა სავსებით უნდა განვიხილოთ ეს საგანი. ჩემის აზრით ჯერ საბჭომ უნდა გაიგოს, თუ რა დადგინა ამ თვის 15-ს გამგეობამ და საბჭოს კომისიამ სხვა-დასხვა საზოგადოების წინადადების შესახებ.

ა. ს. ბაბოვი. ჯერ განვიხილოთ ნორმალური ხელშეკრულების პროექტი ტფილისის ცხენის რკინის გზის იჯარით გაცემის შესახებ, რათა საბჭომ ამ პროექტით

არავის გაუმხელთ ჩვენს უბედურობას, რაც ნახეთ და გაიგონეთ ამ სახლში?

— ვგონებ ასეთის პირობის მოცემა საჭირო აღარ იყოს, რადგანაც ამ დილით მამათქვენს მივეცი ამგვარი პირობა.

ელლიმ გაკვირვებით შეხედა.

— როგორ! საიღუმლო გაგიზიარათ, გაიმბოთ თავისი სწულუბა?

— თავისი არა... ღმერთს გეფიცებით. არ ვიცი ეხლა, რა იყო იმის ნაამბობში მართალი და რა მოგონილი.

ყმაწვილს ქალს ტუჩები შეუთრთოლდა.

— მიხვედრილი ვარ იმის ამბის შინაარსს. ბოზეში მოხდარს გველების ამბავს მოგიხსნობდათ და გეტყობათ—ჩემი ქალი შეშლილიაო. მართალი არ არის?

მხატვარი სცილილობდა დაეჯერებინა როგორმე ყმაწვილი ქალი, რომ მამიშენის ნაამბობიც არა მჯერა-რაო. ელლიმ ლაპარაკი გააწყვეტინა.

— ეგ რა საჭიროა? ვერ მიცნობდით და ადვილად შეგეძლოთ დაგეჯერებინათ, რომ ვითომ შეშლილი

იხელმძღვანელოს მოიჯარადრეთა წინადადების განხილვის დროს.

ხმ. იოანესიანა. მე დღეს მივიღე ამ საგნის შესახებ დაბეჭდილი მოხსენება, რომლის წაკითხვა და შესწავლა ვერც-კი მოვასწარი. უთუოდ სხვა ხმოსნებიც ასეთს მდგომარეობაში არიან. ამიტომ საჭიროა, ჯერ მთელი მოხსენება იქმნას წაკითხული, რათა საბჭომ ყოველ მხრივ შეისწავლოს ეს საგანი და თავისი უტყუარი განაჩენი დაადგინოს.

ქალაქის მოურავი. ეს საგანი დღესვე უნდა გარდაწყდეს. ნუ დაივიწყებთ, რომ საფრანგეთ ბელგიის საზოგადოების წარმომადგენელი ხელმეილის ჩვენს პასუხს. თუ ჩვენ მთელი მოხსენების კითხვას შევუდგებით თავიდან ბოლომდე, დღეს ვერაფერს გარდაწყვეტილს ახრს ვერ დავდგებით და როდის და მივცეთ პასუხი ამ საზოგადოებას.

ხმ. იოანესიანა. როგორ დაადგება საბჭო ამა თუ იმ გარდაწყვეტილებას, თუ საგანს კარგად არ შეისწავლის და არ გაიგებს, რომელ საზოგადოების წინადადება უფრო სასარგებლოა ქალაქისათვის?

ა. თ. ფრადონოვი. საბჭომ კომისია აირჩია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეს საქმე გამგეობასთან ერთად შეესწავლა. უთუოდ. კომისიამ თავისი მოვალეობა კიდევ შეასრულა. ყველა ხმოსანს როგორ შეუძლიან ამ საქმის დაწვრილებით შესწავლა. რატომ არ უნდა ვენდოთ ჩვენისავე კომისიის დადგენილებას.

ხმ. სულდავოვი. ბ-ნი მოურავი ძალას გვატანს. ჩვენთვის აჩქარება სრულიად არ არის საჭირო, თორემ საქმეს წავახდენთ. საბჭო ვალდებულია ყველა მასალა დაწვრილებით განვიხილოს, ჩვენ დიდი ხარჯი გავწიეთ გზის გამოსყიდვის გამო, თითქმის ყველაფერი მზადა გვაქვს და ეხლა რომ აჩქარდეთ და მოუფიქრებლად ეს გზასხვას ჩაუგდოთ ხელში, რას ემსგავსება?

გ. მ. აღნიაშვილი. ერთი თვეა დავგრჩენია გზის გამოსყიდვამდე. თუ მანამდე გარდაწყვეტილს ახრს არ დავაძლევთ, გზა ისევ ძველს მოიჯარადრეს დარჩება და ეს ხომ დიდს დავიდარაზაში ჩავვაგდებს.

ვარ. ყველაფერს ავიხსნით. მხოლოდ იქით გადავიდეთ. მამაჩემი თუცა ვერაფერს გაიგებს, თუნდ იმის ლოგნთანაც ვიამბოთ, მაგრამ არ შემიძლიან პირდაპირ ვუტყვირო, როდესაც იმის უბედურების შესახებ ვლაპარაკობ.

ორივენი ისე იყვნენ შეშფოთებულები და გონება ისე ჰქონდათ მიქცეული ავადმყოფისაკენ, რომელიც მკვდარსავით იწვა ლოგინზედ, რომ დიდის ხნის მეგობრებსავით ჰლაპარაკობდნენ. ვალიგერმა რამდენსამე სიტყვით გადასცა ახალგაზდა ქალს ის, რაც ამ დილით ეამბა ლინდენს და ელლიც მწუხარებით უქნევდა თავს.

— იმ დროდის, ვიდრე ჩემის გონებით დასწულელების შედეგს მოგიხსნობდათ, მამაჩემს სრული სიმართლე უთქვამს, — სიტყვა ყმაწვილმა ქალმა, როდესაც ვალიგერი გაჩემდა: ჩემის მორჩენის შემდეგ რამდენსამე კვირის განმავლობაში საშინელის სიზმრებით ვიტანჯებოდი. ეს ტანჯვა სიგიჟეს წააგავდა და ხშირად გველიც მელანდებოდა. მე თითონ არ შემიძლიან ნათლად აღ-

ქ. ა. კერმაშვილი. შეგვიძლიან ეს ფულიც ვიშოვნოთ.

ხმ. ტიკაჩანოვი. რადგან საფრანგეთ-ბელგიის საზოგადოება ეხლავე გვთხოვს პასუხს, საბჭომ დაადგინოს — მიღებული იქმნას ამ საზოგადოების წინადადება, თუ არა.

ა. ს. ბაბოვი. ბ-ნი ვერმიშევის სიტყვებიდანა ხანს, რომ ჩვენ ყველაფერი გვექონია — გზის ლიანდაგი, ვაგონები, ცხენები, ცხენების საკვები და სხ. მხოლოდ არა გვაქვს ისეთი დაწესებულება, რომელმაც საქმე უნდა განაგოს, მაგრამ ამის დაწესებაც ძნელი საქმე არ არის. ამისათვის ჩვენთვის საჭირო არ არის აჩქარება; კიდევ რომ აჩქარდეთ და დღესვე გადაწყვიტოთ მილიონის საქმე, ამ ერთს თვეში მაინც ვერ მოვასწრებთ ხელშეკრულების დადებას და გზის გარდაცემას. მე ბ-ნი ვერმიშევის მხოლოდ ერთის ნათქვამის წინააღმდეგ ვარ: იმან სიტყვა — ქალაქი თუ გამოისყიდის გზასაო... საბჭომ დიდი ხანია გარდასწყვიტა გზის გამოსყიდვა და სათუოდ რატომ უნდა ვხდინდეთ ამ საქმეს ხელ-ახლად?

ხმ. თაბოვი. ცხენებისა, ვაგონებისა და სხვა. ყიღვა ხეირს არ დაყარის ქალაქს. ჩვენ დავავალეთ სახლების პატრონთ გზების დავა იმ განზრახვით, რომ ორიოდე გროში გადავგრჩება და მიყრუებულს ქუჩებს მოვიკრიწყლავთ. ამ ფულეით ეხლა ცხენებს ჰყიდულობთ და ჩვენი განზრახვა განზრახვადვე რჩება. თუ

ვნიშნო, რა მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ, როგორც მიამბეს, მხოლოდ მამისა და ჩვენი მოსამსახურე დალინის შემწევობით ვშოშმინდებოდი თურმე. ვაღმომცეს აგრეთვე, როგორ იტანჯებოდა მამაჩემი ჩემის ავადმყოფობის გამო. წინადა თუ ჩემის სიცოცხლის შიში ჰქონდა, შემდეგ ჩემის გონების სიმართლე გაუხდა საფიქრებელი. ამ მუდმივმა ზრუნვამა და სხეულის დაქონცვამ ისე იმოქმედა, რომ სენად გარდაექცა და აი ამ სენის შედეგად დღევანდელი უბედურება. გემხედ, რომლითაც მივდიოდით ევროპაში, ზოგიერთის მგზავრის ყურადღება მიიქცია მამაჩემმა შეუფერებელის ქცევით, განსაკუთრებით გემის ექიმისა. ევროპაში მისვლისათვისავე გამიხმო ამ ექიმმა და მირჩია, რომ დაუყოვნებლივ სულით ავადმყოფი ექიმისთვის მიმეშარათ. იმისი შიში გაზვიადებულია მგზავრისა. მაგრამ რამდენსამე დღის შემდეგ მამაჩემს ზნელადემა და დაუყოვნებლივ აღვასრულე კეთილი დაროგება. პირველად მაშოშმინებდნენ, რომ ასეთი სენი მალე გავიღისო და სრულის განკუ-

— გზათა სამინისტრომ შეიმუშავა რამდენიმე პროექტი იმის შესახებ, რომ შავისა და აზოვის ზღვების ნაპირებზე მდებარე საეკრა ნაფთოსადგურები შეკეთებულ და მოწყობილი იქნას.

— როგორც სტატისტიკურის ცნობებიდან სჩანს, ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში რუსეთის ეპარქიაში გაურჩევიათ სულ 4,766 კოლ-ქობობის განქორწინების საქმე.

— გაზ. „Сынъ От.“-ს სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ სამოსწავლო სემინარიებში ამიერიდან აღარ მიიღონ ისინი, ვისაც გალობის ნიჭი სრულიად არა აქვს.

— მოსკოვის გაზეთების სიტყვით, მოსკოვის ფარმაცევტებმა შუამდგომლობა აღძრეს რუსეთის მკურნალთა საზოგადოების თავმჯდომარის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოების აფთექებში მომუშავეთათვის მუშაობის საათები შემცირებულ იქნას.

ფარმაცევტები საზოგადოებრივ კომისია დანიშნონ იმის გამოსარკვევად, მუშაობის შემცირებას რა შედეგი ექმნება და ზაღალს მოუტანს თუ არა აფთექებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის აფთექებში, ორთა შუა რიცხვით, დღეში 14-ის საათის მუშაობა შემოღებულია. მაგრამ ბევრ აფთექში გაცილებით ამაზე მეტს მუშაობენ. სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობენ თვეში 138—144 საათსა, კანტორებში—200, ხოლო დიდს აფთექებში—422—436 საათს. პატარა აფთექებში მუშაობა უფრო ხანგრძლივია. აქ ფარმაცევტები თვეში 514 საათს მუშაობენ, ე. ი. დღეში 17 საათს. ამასთან ფარმაცევტებს ჯამაგირიც უკმაპოვებენ. პრივილეგიის თანაშემწე 30—35, სულ ბევრი 40 მანეთზედ მეტს არ იღებს, დანარჩენთ ამაზედ ნაკლები ეძლევათ. გარდა ამისა ფარმაცევტები მთელ დღეს შეხუტულ პაერში თითქმის სულ ფეხზედ ატარებენ. აფთექში მომუშავეთათვის დიდი ყურადღება და სიფრთხილეა საჭირო. უბრალო რაიმე შეცდომას შეიძლება მეტად ცუდი შედეგი მოჰყვეს. ხშირად ისეთი მავალითი ცუფილა, რომ მთელი დღის მუშაობისაგან დაღლილ-დაქანცულს და თითქმის გამოშტერებულს ფარმაცევტს ერთის წამლის ნაცვლად მეორე წამალი მიუცია მსყიდველისათვის. ამ რიგად ხანგრძლივ მუშაობას ორ ნაირი საზარალი და არა სასურველი შედეგი მოსდევს.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ციმბირში ახალი გაზეთი იქმნას გამოცემული. გაზეთს სახელად „აზია“ ეწოდება.

უცხოეთი

შვეიცია. პრაფესორს ნატვარსტს ამ დღეებში სტოკჰოლმის სასტროპოლიტიკო საზოგადოების კრებაზედ შედეგად აზრი წარმოუთქვამს ანდრეს კოსტაშვილის შესახებ, რომელიც შარშან, ივლისში, ჰუმბოლტის გემზე, ზავის ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ: ანდრეს რომ შინაგარეგანს ანუ ფრანც-იოსების სამხრეთ ნაწილში ჩამოხტა-

რყო, მთელი ზაფხული: განსაკუთრებით უთუად ეინე ქანსაკადო. ცხადია, რომ ხსენებულ ადგილებს მსხველმძებრად არ ჩამოხტარა იგი, რადგან მისმა მძებნელებმა იქ ვერ აღმოაჩინეს. როგორც დოქტორი ემპალიმ ქუთაბის, ჰუმბოლტის იგი შორს ჩრდილოეთისაკენ გაიტანა, უთუად, გრენლანდიის ადგილებსაკენ. თუ ეს ასე მოხდა, მსხველმძებრის შედეგად შეიძლება გაავადონ, რა შეესაბამება მოგზაურთ. თუმცა ესეც ვაი, რომ გრენლანდიის ადგილებსაკენ ნაპირზედ დიდ ხანს შეუძლიან კაცს თავის შესახებ და ამიტომ სასწრაფოა იქნება არ უნდა მივედეთ, რომ მასში მოგზაურები ცოცხლები აღარ იქნებიან.

პრაფესორს ნატვარსტს თავისი აზრის დასამტკიცებლად კამიტან ბონგის მიერ მოტანილი ამავე მოუყვანია რომლისათვისაც ესკიმოსებს უამბობთ, რომ ვითომ ამთ შარშან, ოქტომბერსა და ნოემბერში, თოფის ხმა გაეგონათ ანტიპოდისაკენ. ამიტომ იმედი უნდა ვიკეთებოდეთ, სთქვამს ნატვარსტმა, რომ დეიტუნსტ აღდგურვის ექსპედიციის მოგზაურთა აღმოჩენა გრენლანდიაში უნაყოფოდ არ ჩაეკლას და ანდრეს კოსტას მანერ მიანებს სადმე, თუ ცოცხალი ვერ იპოვიან.

ინგლისი. ინგლისის გაზეთებმა სასურველი აღნიშნავენ ამ გარემოებას, რომ კრისტის შესახებ საფრანგეთსა, იტალიასა, რუსეთსა და ინგლისს შორის სრული თანხმება არსებობს.

„Daily News“-ის სიტყვით, ამ ცნობის სანა დადობა სახელმწიფოთა კლასებმა ოსმალეთის ხანტყარს უნდა მოსთხოვონ, რომ იმან ჯარი და მსხველმძებრი გაიყვანოს კრისტადგან და კუნძული დიდ სახელმწიფოთა ჩაახაროს. ეს სახელმწიფოთა კლდეებზე იქმნება, კუნძული ასევე ხანტყარს უხანავის მფარველობის ქვეშ ამოფიქრან და ოსმალეთის ქვეშევრდომთა საცოცხლე და ქონება უზრუნველ-ქონ. როგორც გაზეთი ქუთაბის, ზასუხა სონტაქში სხუთდაგან 10 ოქტომბრამდე უნდა მისცეს ელჩებს. თუ მან უარი განაცხადა, სახელმწიფოთა საჭირო დანახარს მიუხედავად თაკანთ მოთხოვნისა საკუთარ შესასრულელებად.

ჩინეთი. ზოგაერთის გაზეთის სიტყვით, ჩინეთის იმპერატორისათვის ამიტომ ჩამოერთმევათ მართვა გამგობა, რომ ბრძანება გამოუცხადა, —ეკრებოული ტანთ-საცმელი ჩაიკეთ და ნაწნავები მოკრავთ.

როგორც გაზ. „Temp“-ი მოგვითხრობს, ჩინეთის დედაფელა იმ ბრძანებას სდებს კანგ-იუ-მის, რომ ვითომც იმას იმპერატორის სასიკვდილოდ შეიქმნება ქუთაბის, გაზ. „Times“-ი კი სწერს, —რომ დედაფელის წინააღმდეგ ქუთაბით შეიქმნება.

და მაკერიდი

ჩვენის ცხოვრებადგან გერც ერთს ფურცელს ვერ ამოკვეთ. თუმცა ადგილად შეკვიდრან თვით წიგნი ჩვენის ცხოვრებისა ცნობებს შეუწყობთ.

ე. ხანდი

სოფლის მძიმე მარადის დეპრესიას ჰქვია.

სულგძელებით, შენ მოკვალა მართალი, მოითქმედა იმთ, ზედ მოსრულდა უოკელთა, მოწინებებსა წარმოტეხ და მარტობით ცხოვრებისა აღარ ჩვე და წინ განეწყობა და სძლევა მათ კვალადვე.

ნიკოლოზ ტფილელი

შურნალ-გაზეთში

(ამოკრებილი ამბები)

უკანასკნელ 20 წელიწადს ამერიკის შეერთებულ შტატების ქარხნებში აუარებულ ქალღმად აკეთებენ, ხოლო ჩრებისაგან-კი აღარა, როგორც აქამდე იყო, რადგანაც ჩრებისაგან ქალღმად გაკეთება ძლიერ ძვირად ჯდება. ესლა მთელს ამერიკაში ქალღმად ხისაგან აკეთებენ და ტყე ხომ ამერიკაში ბევრია და ხე-ტყე იაფად ჰქონს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ამერიკაში ქალღმად ძლიერ გაიფიქრა და ამიტომ უფრო მეტი კეთდება და იყიდება.

დიდი ხანია ხმა დაიგონა, რომ ამერიკის შტატის კონგრესს ერთს ადგილას ძლიერ ბევრი და დიდძალი მადაროვი არისო, მაგრამ ვერც ერთი მოგზაური ვერ წააწყდა. 1872 წელს ეგრედ წოდებულ ურუას ქვეყანაში წავიდა კაპიტანი კამერონი, რომელსაც უნდა დაეთვლიერებინა მადაროები მდინარე კონგოს სათავეში. მხოლოდ 1897 წლის გა-აულს ბელგის ლეიტენანტმა ლიონ სერკელმა ძლიერ მაღლია მაკონის მადაროებს. ამ ლეიტენანტის მოგზაურობა ერთს ფრანგულს ეურნალში არის დაბეჭდილი. სამწუხაროდ, ლეიტენანტმა ბევრი ვერაფერი შეიტყო აქა, რადგანაც იმ ტომის უფროსმა, რომელიც აქა სცხოვრობს, ნება არ მისცა დიდხანს დარჩენილიყო მადაროებში, რადგანაც შიშობდა, ჩემმა ქვეშევრდომებმა არაფერი დაუშაონ ლეიტენანტს, რადგანაც ამ ტომს საზოგადოდ ძლიერა სძულს ვეროპილები.

რენტგენის სხივები კიდევ ორის სასარგებლო საქმისათვის გამოუყენებიათ მეცნიერებს, ორმა ამერიკელმა ბესსმა და ბლენერმა რენტგენის სხივებითა სცადეს იმის შეტყობა, ფეკილში რამე არის გარეული თუ არა და აღმოჩნდა, რომ ძლიერ ადვილად შეიძლება შეიტყოს კაცმა, უფროა რამ ფეკილში თუ არა. ამგვარად შეიტყეს, რომელი ფეკილია წმინდა და რომელში ურეგია ქვიშა, ცარი და სხვა. უფრო საკვირველია ფრანგის იზამბარის გამოგონება. ეურნალში და გაზეთებში სწერენ, რომ ამ ფრანგმა გამოგონა ახალი საშუალება, რომლითაც, რენტგენის სინათლს შეიშუობით შეიძლება წიგნის ბეჭდვა, ისე რომ აწყობა ასობებისა სრულდებოთ არ იქმნება საჭირო.

ერთს ფრანგულს ეურნალში დაბეჭდილია ფრიალ საყურადღებო ამბავი სახელგანთ მეცნიერეთა ლისტისა და შოპენის ცხოვრებიდან. ეს ამბავი მოხდა მწერალ ქალის ყოველ ხანდის სახლში, სადაც დანახლისის მოვლამ შოპენს სიკვდილს გადაარჩინა. მისი იყო. ყოველ ხანდის სტუმრები შეიკრიბნენ მდიდრულად მორთულ სასტუმრო დარბაზში. ფანჯრები ღია იყო. მთავრე კაშაშხელა. ლისტი პიანინოზე უკრავდა შოპენის მუსიკას და ჩვილებზედ ასხვედრებდა. შოპენმა ველარ მოითმინა ესა, მივიდა ლისტი და მშვიდად უთხრა:

—გეთაყვა, მეგობარო, თუ გახურს პატრიე მცე და ჩემი თხზულება რამ დაუკრა, ნურაფერს შესცვლი. მხოლოდ შოპენს შეუძლიან შოპენის მუსიკის შეცვლა.

—მაშ შენ თითონ დაუკარიო, უთხრა ლისტმა წყენით და წამოდგა.

—სიამოვნებითაო! —უპასუხა შოპენმა და პიანინოს მიუჯდა.

ამ დროს უცაბედად ლამპარი გაქრა. უნდოდით ისევ ანთით... —არა, სთქვა შოპენმა, —სანთლებიც ჩააქრეთ. მთავრის უჭიკი საკმარისია ჩვენთვის.

შოპენი მთელს საათს უკრავდა. მსმენლებს ცრემლი მოეჩოთ, განსაკუთრებით თვით ლისტსა. გადახვია შოპენს და უთხრა:

—შენ მართალი სთქვი, მეგობარო! შენ გენიოსი ხარ და ცოცხალი შენი თხზულება სხვამ დაუკრას. შენ პოეტი ხარ და მე-კი უნიკო ჯამაზი.

—არაო! უპასუხა შოპენმა, შენ კარვად იცი, რომ ბეთოვენის მუსიკას შენსავით ვერავინ დაუკრავს. გთხოვ დაუკარ ესლა და დაგვკატე შენის ხელმწიფებით, ესლა ლისტი მიუჯდა პიანინოს და მსმენელნი აატირა.

ოთხი-ხუთი დღის შემდეგ იგივე საზოგადოება შეიკრიბა ყოველ ხანდთან და შოპენს კვლავ სთხოვეს, შენის მუსიკით დაგვკატე. შოპენი დასთანხმდა და სთხოვა დანახლისის სანთლები ჩააქრეთო. ეს თხოვნა აასრულეს. მაგრამ, სწორედ იმ დროს, როდესაც შოპენი უნდა დამჯდარიყო პიანინოსთან, ლისტი მივიდა, რაღაც უზრუნველ ყურში და თითონ დაჯდა იმის ადგილას. შოპენი-კი იქ დაჯდა, სადაც ლისტი იჯდა. შემდეგ ლისტმა დაუკრა ყველა ის პიესები, რომლებსაც ამ ოთხი-ხუთის დღის წინად უკრავდა შოპენი. ლისტი იქ უკრავდა, რომ ყველანი მოსტყუდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შოპენი უკრავდა. ბოლოს ლისტმა უკრავდა ანთო სანთლები.

მთელი საზოგადოება სახტად დარჩა.

—როგორ, თქვენ უკრავდით?

—აი ჩვენდგით!

—ჩვენ-კი გვეგონა, შოპენი უკრავდა.

—შენ რაღას იტყვი? ჰკითხა შოპენს ლისტმა.

—მეც იმას ვიტყვი, რასაც სხვები ამბობენ: მეც ისე ვფიქრობდი, რომ შოპენი უკრავდა.

—ხომ ხედავ, მეგობარო, უპასუხა ლისტმა, თუ ლისტმა მიინდობა, შოპენის მაგიერობას გასწევს, მაგრამ შოპენს შეუძლიან ლისტის მაგიერობა გასწიოს?..

დებემა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 სექტემბერი.

პარიზი. დრეფტის საქმის გადასინჯვის წინააღმდეგი გაზეთები მადლიერნი არიან გუშინდელის დღისა, რადგან, იმათის სიტყვით, პარიზის მკვიდრთა დიდ-ძალმა უქეტსობამ უქმაყოფილება გამოაცხადა ჯარის შეურაცხყოფელთა წინააღმდეგ. „Rappel“-ი მთელს ბრალს დერულედსა და იმის მომხრებსა სდებს, რომ ისინი საქმეში ჩაერთვნენ და ამითი იძულებულ ჰყვეს მთავრობა ზოგიერთი ღონისძიება ეხმარა, რათა თავიდან აეცილებინა უფრო დიდი უწყსოგებანიო.

ლონდონი. „Times“-ის დეპეშით აუწყებენ შანზაიდგან, რომ გუბი-ტაპუ, ამის წინად დათხოვნილი ბოვლიხანის მიერ თანამდებობიდან და იუნგლუს უმთავრესი მომხრე, დანიშნულ იქმნა ცენზორთა სასამაროლოს თავმჯდომარედ და დიდის საბჭოს წევრად.

მოსკოვი. თავისის ნოტაში, პასუხად სერბიის ნოტისა, რომელშიც საჩივრია განცხადებული, რომ კოსოვას მხარეში ძალმომრებანი იყო ხმარებულო, ოსმალეთის მთავრობა სწერს, რომ საიდ-ედლინმა გამოიძია საქმე და გამოაშკარავდა, რომ სერბიის ნოტაში ხსენებული მრავალი შემთხვევა სრულიად არ მომხდარა, და ეს გვაფიქრებინებს, რომ საჩივარი დაფუძნებულია ისეთ კაცთაგან მიღებულ ცრუ ცნობებზედ, რომელთა სარ-

გებლობაცა საჭიროდ ჰქვია. რუსული სახელმწიფოს შორის არსებულ მეგობრულ განწყობილების დარღვევასაო. ამას გარდა, ეს საჩივარი შინა მართვა გამგეობას შეეხება ქვეყნისა-საო.

რომი. იტალიის მთავრობამ ვეროის ყველა დიდს სახელმწიფოს დაუგზავნა ნოტა და იწვევს ანარხისტთა საწინააღმდეგო საშუალებათა განსახილველ კრებაზედ დასასწრებად.

სიტბანი (შვეიცარია). პიეროსტატი „ვეგა“, რომლითაც სველტერინის განზრახვა აქვს გადაიაროს ალპების მთები, 21 სექტემბერს, დღის 11 საათზედ, აეშვა მალლა და თან აიყვანა სველტერინი, გვიმო, მალერო, ფარალსი, მორეე, ხერგე-ხელე და ბიდერმანი. ამ მოგზაურობას სამეცნიერო ხასიათი აქვს. სველტერინი იმ აზრისაა, რომ ამ მოგზაურობას 10 ანუ 11 საათის განმავლობაში მოვრჩებიო.

კოსტანბული. დედოფლის გვამს მკვლელებს დაპყრობადა.

რომი. აქ მოვიდა და „რომის“ სასტუმროში ჩამოხდა გრაფ მარკუბელის სახელით პოლკოვნიკი დეპატი-დიუკლამი, რომელმაც ჰნახა მრავალი მეგობარი, საფრანგეთის ეურნალისტი და შაბათს წავიდა ვითომ-და ნეაპოლს, ნამდვილად-კი ჩრდილოეთ იტალიისაკენ გაემართა.

კანადა. საერთა შორისო სამხედრო სასამართლოს წევრი წავიდნენ ყანდაში, რათა გამოიძიონ სისხლის სამართლის საქმე იმ ძალ-მომრეობის შესახებ, რომელიც ადგილობრივ და უცხო ქვეყნულ სამოქალაქო წოდების კაცებზედ უხმარიათ.

პეტიტ-პრეზიდი. უმაღლესს სასახლეში, დანიის დედოფლის გარდაცვალებისა გამო, სამის თვის ვადით მგლოვიარობა დადგენილი.

გამოცხადებულ იქმნა განკარგულება იმის შესახებ, თუ რა წესით და პირობით უნდა გარაცვილი იქმნას საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის 4 1/2%-იანი მოწმობანი 4%-ზედ. ამ ბანკის ყველა მოწმობანი 4 1/2%-იანი. საფასურით 57.060,300 მანეთისა 1899 წლის 2 იანვრამდე უნდა იქმნას გამოსყიდული და ამიტომაც ამ დროდგანვე სარგებლის აღრიცხვაც მოიხატება.

სავასტოპოლი. 21 სექტემბერს, საღამოს 5 საათზედ, სევასტოპოლში გემით მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილისძე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და პრინცესა ირენა, რომელთაც თან ახლდნენ სასახლისა და სამხედრო მინისტრნი. აქედგან საღამოს 9 საათზედ ხელმწიფე რკინის გზით საზღვარ გარეთ წაბრძანდა, ხოლო დედოფალი და სამეფო გვარეულობის სხვა წევრნი აპალითურთ ხვალ დაბრუნდებიან ლივადიაში.

ბერლინი. სიტეტენში ამართული ჰაეროსტატი ქარმა ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ წაიღო და ლანგსა და დიუანს შუა ჩამოეშვა.